ხელშეკრულება № 06/15

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი „ 9 " „ აგვისტო " 2011 წ.

*ერთის მხრივ, **ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თავმჯდომარის შალვა ჯაფარიძის** სახით და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, დირექტორის ლევან სანაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმდნენ შემდეგზე:*

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. გზავნილი - შემსყიდველის მიერ მიერ გასაგზავნად განსაზღვრული განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო, საიდუმლო დოკუმენტაცია, სპეცტვირთები, ამანათები, დოკუმენტაცია, სპეციალური ტექნიკა, სამრეწველო ნაწარმი, საცდელი ნიმუშები, ფასიანი ქაღალდები, ნივთები, აგრეთვე ყველა სახის დოკუმენტაცია, რომელიც ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ექვემდებარება მიმწოდებლის მიერ ადრესატისათვის დანიშნულების ადგილზე მიტანასა და ჩაბარებას.

1.2. საფელდეგერო მომსახურება - მიმწოდებლის მიერ საფელდეგერო ან სპეციალური მარშრუტების მეშვეობით ამ ხელშეკრულების დადგენილი წესით გზავნილის ადრესატამდე უსაფრთხო და დროული მიტანა - ჩაბარება.

1.3 ადრესატი - შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით გზავნილის მიმღებად განსაზღვრული ორგანიზაცია-დაწესებულება.

1.4 საფელდეგერო მარშრუტი - მიმწოდებლის მიერ საქართველოს რაიონულ ცენტრებში ადრესატისათვის გზავნილის უსაფრთხო და დროულად მიწოდების მიზნით მარშრუტებისა და გრაფიკის შერჩევა-შემუშავება, გზავნილის გადატანის რიგითობის განსაზღვრა, აღნიშნული დავალების შესასრულებლად მუდმივ მიწისზედა (სარკინიგზო, საავტომობილო) მარშრუტების დახურული ქსელის შექმნა, საკომუნიკაციო გზებისა და პუნქტების ერთობლიობის(სისტემის) განსაზღვრა.

1.5 სპეციალური მარშრუტი - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველთან შეთანხმებით, გზავნილის მისატანად საფელდეგერო მარშრუტისაგან სპეციალურად შემუშავებული და განსაზღვრული საკომუნიკაციო გზებისა და პუნქტების ერთობლიობა(სისტემა), რომელიც მიზნად ისახავს შემსყიდველის მიერ კონკრეტული შეკვეთის შესრულების უზრუნველსაყოფად სპეციალური მარშრუტის შექმნას, რომელზეც მიმწოდებლის მიერ არ არის დადგენილი საფელდეგერო მარშრუტი.

1.6 სასწრაფო გზავნილი - შემსყიდველის მიერ გასაგზავნი შესაბამისი ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული, სპეციალური გრიფის („სასწრაფო") მქონე გზავნილი, რომელიც შემსყიდველის მოთხოვნით ექვემდებარება ადრესატისათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემჭიდროვებულ ვადაში ჩაბარებას.

1.7 საიდუმლო გზავნილი - „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციის შემცველი გზავნილი, რომელზეც კეთდება შესაბამისი „საიდუმლო გრიფის" აღნიშვნა.

1.8 "საიდუმლოების გრიფი" - რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს.

1.9 სამუშაო დღე - ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღეებად განისაზღვრება; ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი (საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეების გარდა).

1.10. სამუშაო საათი - ამ მუხლის 1.9 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო დღის პერიოდი 10.00 საათიდან 17. 00 საათამდე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მოთხოვნის ინტენსივობის შესაბამისად მიმწოდებლის ვალდებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით შემსყიდველისათვის საფელდეგერო მომსახურების გაწევისა და შემსყიდველისთვის ვალდებულება გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ გაწეული საფელდეგერო მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე გაწეული საფელდეგერო მომსახურების კონკრეტული სახეობებისა და რაოდენობის შესაბამისად.

3.2 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

3.3 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

3.4 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება ხორციელდება თვეში ერთხელ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი გაწეული საფელდეგერო მომსახურების შესახებ ანგარიშის შესაბამისად.
3.5. შემსყიდველის მიერ საფელდეგერო მომსახურების ღირებულების გადახდა წარმოებს მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 3.6 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
3.6 მიმწოდებლის მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 4. განსაკუთრებული პირობები

4.1 მიმწოდებლის მიერ გასაწევი საფელდეგერო მომსახურების სახეობების ნუსხა და ღირებულება განსაზღვრულია დანართი №1-ში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
4.2 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან გასაგზავნი გზავნილის მიღება წარმოებს ამ ხელშეკრულების დანართი №2-ში განსაზღვრული პირობებით, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
4.3. მიმწოდებლის მიერ ადრესატისათვის გზავნილის მიტანა წარმოებს ამ ხელშეკრულების №3 დანართით განსაზღვრული პირობებით, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
4.4. აკრძალულია ფელდეგერისათვის რაიმე კერძო დავალების მიცემა.
4.5. საიდუმლო გზავნილი უნდა იყოს შეფუთული მკვრივ, შუქგაუმტარ ქაღალდში და გაკერილი ჯვარედინად, რომელზეც დაწებებული უნდა იყოს ბეჭედდასმული თხელი ქაღალდი, რომლის ანაბეჭდი უნდა ემთხვეოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას. დაუშვებელია ადრე გამოყენებული კონვერტის გამოყენება. („სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებისა და დაცვის წესის" შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულების 10.43 და 10.46 პუნქტები).

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლებები და ვალდებულებები

5.1. მიმწოდებლი ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გასაგზავნი გზავნილის ადრესატისათვის უსაფრთხო და დროული მიწოდება.

5.1.2. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია.

5.1.3. საფელდეგერო მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუსაბუთოს წერილობით მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი.

5.1.4. შემსყიდველის მიერ მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს საფელდეგერო მომსახურება.

5.1.5. გაუწიოს შემსყიდველს ჯეროვანი მომსახურეობა.

5.1.6. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

5.1.7. შემსყიდველის მიერ ჩარიცხული თანხები გამოიყენოს მიზნობრივად.

5.1.8. შემსყიდველის მიერ გამოუყენებელი (ზედმეტად) გადარიცხული თანხები, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნოს უკან.

5.1.9. წერილობითი ფორმით დააფიქსიროს ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარების ფაქტი.

5.1.10. იმ შემთხვევაში თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუბრუნოს შემსყიდველს.

5.1.11. შემსყიდველის მიერ ადრესატის არასწორი მისამართის მითითების შემთხვევაში ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუბრუნოს შემსყიდველს.

5.1.12. ადრესატის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში განმეორებით ორჯერ მაინც მიიტანოს გზავნილი ჩასაბარებლად, ხოლო თუ კვლავ ვერ მოხერხდა მისი გადაცემა ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუბრუნოს შემსყიდველის

5.1.13. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

5.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.2.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს გაწეული საფელდეგერო მომსახურების ღირებულების გადახდა სახეობებისა და რაოდენობის შესაბამისად.

5.2.2. გამოიყენოს შემსყიდველის მიერ გადახდილი თანხა.

5.2.3. კანონმდებლობით ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას ან შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებითა ან/და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

5.2.4 მოთხოვოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

5.2.5. მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება.

5.2.6 უარი განაცხადოს საიდუმლო გზავნილთან დაკავშირებულ საფელდეგერო მომსახურების გაწევაზე, თუ კი შემსყიდველს ან/და ადრესატს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვს მიღებული საიდუმლო საქმის წარმოებასთან დაშვების უფლება.

5.2.7 უარი განაცხადოს საიდუმლო გზავნილის მიიღებაზე თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულების 4.5. პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.2.8 უარი განაცხადოს არასაიდუმლო გზავნილის მიღებაზე თუ იგი არ არის დალუქული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და დანომრილი.

5.2.9 უარი განაცხადოს საფელდეგერო მომსახურების გაწევაზე თუ გზავნილზე არ არის ან არასრულყოფილად არის მითითებული შემსყიდველის ან/და ადრესატის კოორდინატები.

5.2.10. უარი განაცხადოს გზავნილის მიღებაზე თუ კი გასაგზავნ პაკეტში ჩადებულია ხუთ ნომრიან დოკუმენტზე მეტი კორესპოდენცია.

5.2.11. უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე თუ შემსყიდველმა მომსახურების გაწვა მოითხოვა არასამუშაო დღის ან/და არასამუშაო საათის პერიოდში.

5.2.12 შემსყიდველის მიერ საფელდეგერო მომსახურების ღირებულების გადახდის დავალიანების შემთხვევაში უარი განაცხადოს შემდგომ მომსახურებაზე.

5.2.13. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

5.2.14. შემსყიდველთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 6. შემსყიდველს უფლებები და ვალდებულებები

6.1 შემსყიდველი ვალდებულია:

6.1.1.დაემორჩილოს მიმწოდებლის კანონიერ მოთხოვნას.

6.1.2. დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში მიმწოდებლის წარმომადგენლები შს სამინისტროს მოწმობით ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი.

6.1.3. მკაცრად დაიცვას საიდუმლო კორესპოდენციის გაფორმების ინსტრუქცია და მიმწოდებლის მიერ დადგენილი მიღება-ჩაბარების წესები.

6.1.4 საიდუმლო, სასწრაფო ან/და მსხვრევადი გზავნილის შემთხვევაში გზავნილსა და თანმხლებ დოკუმენტაციაში გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა.

6.1.5 ერთ გასაგზავნ გზავნილში(პაკეტში) არ განათავსოს ხუთზე მეტი ნომრიანი დოკუმენტაცია.

6.1.6 მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

6.1.7 ხელი შეუწყოს მიმწოდებლის კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

6.1.8 ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით განახორციელოს საფელდეგერო მომსახურებისათვის შესაბამის ღირებულების გადახდა.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს ჯეროვანი საფელდეგერო მომსახურების გაწევა.

6.2.2. მოახდინოს მიმწოდებლის ანგარიშზე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლო მომსახურებისათვის თანხის წინასწარი ჩარიცხვა.

6.2.3. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ყოველი მომდევნო მომსახურების მოთხოვნისას ისარგებლოს წინასწარ ჩარიცხული თანხებით.

6.2.4. მოითხოვოს №1 დანართით განსაზღვრული მომსახურეობების გაწევა.

6.2.5. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6.2.6. საფელდეგერო მომსახურების დაწყებამდე უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

6.2.7 მოითხოვოს გაწეული საფელდეგერო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლები.

6.2.8 მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია.

6.2.9. წერილობით მოითხოვოს გამოუყენებელი თანხების უკან დაბრუნება.

6.2.10. მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება.

6.2.11 მოითხოვოს მიმწოდებლის მოთხოვნის კანონიერების დასაბუთება.

6.2.12. მოითხოვოს კორესპოდენციის ადრესატამდე უსაფრთხო და დროული მიტანა.

6.2.13 მიმწოდებელთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

6.2.14 ზეპირად ან წერილობით მოითხოვოს ინფორმაცია გზავნილების მოძრაობასთან დაკავშირებით.

6.2.15. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ ზეპირად ან წერილობით დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარმოებებით.

9.2 ამ ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" განიმარტება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებისას წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2 20 დღის განმავლობაში ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ იდაონ სასამართლო წესით.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1 მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მხარეებს უფლება არა აქვთ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს.

11.2 ორივე მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეთანხმებით ან ცალმხრივად მოშალოს ეს ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულია 10 დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს

11.3 მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების ან კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე.

11.5 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს ეცნობება წერილის, დეპეშის, ტელეფონის ან ფაქსის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე ან ტელეფონზე.

11.6 მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი ზეპირად ან წერილობითი შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დადგება.

11.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ან მხარეების მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის თაობაზე მინიჭებული უფლების გამოყენებამდე.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

მდებარე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ

ს/ს „ლიბერთი" ბანკი რუსთავის ფილიალი

ს/კ №205190513

ა/ა №GE 65 LB 0121140604565000

ბ/კ № LBRTGE22

ტელ: 41 90 15

ბ.ა _____ */ლევან სანაძე/*

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მდებარე: ქ. ონი დ. აღმაშენებლის მოედანი №1

ბანკი

ს/კ №237978279

ა/ა №GE621BO120115527055000

ბ/კ №220101449

ტელ:877468811 / ფაქსი:

ბ.ა _____ */შალვა ჯაფარიძე/*

შეთანხმება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე
(ხელშეკრულებიდან გასვლა)

ქ. ონი "--1--" სექტემბერი 2011 წელი

ქ.ონის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შალვა ჯაფარიძის სახით შემდგომში "მხარე-1"-ად წოდებულმა, ერთის მხრივ, და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, მისი დირექტორის ლევან სანაძის სახით შემდგომში "მხარე-2"-ად წოდებულმა, მეორეს მხრივ, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. იმის გამო, რომ მხარე-2"-ის მიერ შემოსული 31.008.2011 წლის №1065233 წერილის თანახმად მხარეებმა გადაწყვიტეს გააუქმონ 09.06.2011 წლის №06/15 ხელშეკრულება – შემსყიდველისატვის საფელდეგერო მომსახურების გაწევისა.
2. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
3. ამ ხელშეკრულების მიხედვით მხარეთა ვალდებულებები უქმდება აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე. მხარეთა ვალდებულებები, რომელთა შესრულებას მხარეები უკვე შეუდგნენ, შესრულდება შემდეგნაირად: მხარეებს შორის მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება 10 დღის ვადაში.
4. ეს შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივე მხარისათვის გადასაცემად.

რეკვიზიტები:

<u>მხარე-1:</u>

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე:

/შალვა ჯაფარიძე/

ქ.ონი, დავით აღმაშენებლის №1

ს/კ №237978275

ს/ს „ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი

ა/ა № GE62LB0120115527055000

<u>მხარე-2:</u>

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს მომსახურების სააგენტო

/ ლევან სანაძე/

მის: ქ. თბილისი, წითელი ხიდის
გზატკეცილი 21-ე კმ.

ს/კ №205190513

სს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა №GE65LB0121140604565000
ბ.კ.LBRTGE22

ბ.კ. . 220101449